ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს **2023 წლის 21 სექტემბრის** სხდომის

ოქმი # 7

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 35 წევრიდან - 25

დღის წესრიგი

1. სადოქტორო ნაშრომის სათაურების ცვლილება
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების დანიშვნა
3. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა რომ დასამტკიცებელია დოქტორანტების მიერ სადოქტორო ნაშრომის შეცვლის საკითხი. კერძოდ:

1. მარიამ ქებაძე - მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის მე-3 სემესტრის დოქტორანტი; ძველი თემა: საქართველოში სტარტაპ ეკოსისტემის განვითარებაში, კომუნიკაციის როლი და საკომუნკაციო სტრატეგიები ახალი თემა: ბოტის ტექნოლოგიური
   და ფუნქციური ტრანსფორმაცია კომუნიკაციაში ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ხათუნა მაისაშვილი;
2. ნინო ჯანაშია - კულტურის და მედიის სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის მე-3 სემესტრის დოქტორანტი; ძველი თემა: ქართული და გერმანული მედიის დისკურსები საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებით ახალი თემა: სამთავრობო და
   არასამთავრობო სექტორების დისკურსული დაპირისპირება კლიმატის ცვლილების პოლიტიკაზე; ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლია წულაძე;

აზრი გამოთქვეს: მ. შამილიშვილმა, რ. ჯორბენაძემ, ზ. დავითაშვილმა, ხ. მაისაშვილმა, მ. მაცაბერიძემ და სხვ. გამოითქვა მოსაზრებები, რომ დოქტორანტ ნინო ჯანაშიას მიერ წარმოდგენილი თემის სათაური უმჯობესია განისაზღვროს შემდეგი ფორმით: „სამთავრობო და
არასამთავრობო სექტორების დისკურსული განსხვავებები კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შესახებ საქართველოში“

დაადგინეს: მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის მე-3 სემესტრის დოქტორანტ მარიამ ქებაძის სადისერტაციო ნაშრომის თემად განისაზღვროს: ბოტის ტექნოლოგიური და ფუნქციური ტრანსფორმაცია კომუნიკაციაში ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ხათუნა მაისაშვილი; კულტურის და მედიის სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის მე-3 სემესტრის დოქტორანტ ნინო ჯანაშიას სადისერტაციო ნაშრომის სათაურად განისაზღვროს: „სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების დისკურსული განსხვავებები კლიმატის

ცვლილების პოლიტიკის შესახებ საქართველოში". ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლია წულაძე;

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროფესორ რევაზ ჯორბენაძეს აღნიშნულ თანამდებობაზე ორი ვადით საქმიანობის ვადა ეწურება. ს. დუნდუამ მადლობა გადაუხადა პროფესორ რევაზ ჯორბენაძეს რვა წლის მანძილზე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ნაყოფიერი და წარმატებული მუსაობისთვის. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ უნდა განესაზღვრათ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევის წესი და ვადები.
აზრი გამოთქვეს: მ. წერეთელმა, ნ. ფარცხალაძემ, ზ. აბაშიძემ და სხვ.
დაადგინეს: საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების (დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის #135/ნ ბრძანებით) 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების (დამტკიცებულია თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 3 დეკემბრის ოქმი #8 და 2021 წლის 26 თებერვლის ოქმი #1 გადაწყვეტილებით) მე-14 მუხლის საფუძველზე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო ადგენს:

1. დაინიშნოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნები 2023 წლის 5 ოქტომბერს.
2. არჩევნების ჩატარების ადგილი - თსუ VI კორპუსის დარბაზი (#303).
3. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 15:00 სთ.
4. კენჭისყრის პერიოდი - 15:15 - 16:30 სთ.
5. არჩევნების ჩატარების ფორმა - ფარული კენჭისყრა. გამარჯვებულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც საბჭოს სხდომის კვორუმის შემთხვევაში დააგროვებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობას.
6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნებში კანდიდატად რეგისტრაცია შეუძლია ფაკულტეტის სრულ და ასოცირებულ პროფესორს.
7. კანდიდატისტვის ასაკობრივი შეზღუდვა მოხსნილია.
8. კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი საბუთების წარდგენა:

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ ;
- ცნობა დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ ;
- C V;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განვითარების კონცეფცია;
- პირადობის მოწმობის ასლი.
- სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ .

კანდიდატთა საბუთების მიღება - 25 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით, ფაკულტეტის კანცელარიაში (თსუ VI კორპუსი, ოთახი #203), 10:00-17:00 სთ.

მოისმინეს: 3. ა) ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შემოვიდა ევრაზიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის, ასოცირებულ პროფესორ დავით მაცაბერიძის განცხადება. დავით მაცაბერიძის განცხადებით ის სექტემბრიდან ვეღარ შეასრულებს პროგრამის ხელმძღვანელობის ფუნქციას.

ბ) ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 2023 წლის 11 სექტემბერს შედგა აკადემიური საბჭოს სხდომა, სადაც დამტკიცებულ იქნა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 20 ივლისის საბჭოზე (ოქმი #6) მიღებული გადაწყვეტილება საფაკულტეტო სავალდებულო საგნებში ცვლილების განხორციელების თაობაზე. აკადემიურ საბჭოზე დადგინეს, რომ საფაკულტეტო სავალდებულო საგნების სიიდან სტატისტიკის ამოღება (გარდა სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობისა) ამოქმედდეს 2024-2025 წლის სასწავლო სემესტრიდან. შესაბამისად, საფაკულტეტო საბჭოზე მიღებული ჩანაწერი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „საგან სტატისტიკას შეეცვალოს სტატუსი და სავალდებულო საფაკულტეტო საგნების ჩამონათვალიდან გადატანილ იქნეს საფაკულტეტო სავალდებულო არჩევით საგნად (გარდა სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის პროგრამებისა). აღნიშნული ცვლილება ამოქმედდეს 2024-2025 სასწავლო წლიდან“.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე სალომე დუნდუა

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი ნათია ფარცხალაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს
ქალბატონ სალომე დუნდუას,

ამავე უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საერთაშორისო ურთიერთობათა მიმართულების
ასოცირებული პროფესორის,
დავით მაცაბერიძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ 2023-2024 სასწავლო წლის სექტემბრიდან აღარ შევასრულებ სამაგისტრო პროგრამის ევრაზიის კვლევების ხელმძღვანელის მოვალეობას.

აქვე გაცნობებთ, რომ ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში (2022-2023 სასწავლო წელი), განხორციელდა აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგი და უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე აკადემიურ პროგრამას დაუმტკიცდა უპირობო აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

გარდა ამისა, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული საგნების ნაწილი, სულ 8 საგანი, აკადემიური წლის პირველი და მეორე სემესტრებისთვის (4+4) გადაცემულია და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტთან კოორდინირებით წარმოდგენილია ერაზმუს+ სტუდენტთა მობილობის საერთაშორისო პლატფორმაზე, რაც უზრუნველყოფს ფაკულტეტზე უცხოელი სტუდენტების მიღებასა და მასპინძლობას.

პატივისცემით,

დავით მაცაბერიძე 15.09.2023

26460/30 1
15 09 023

21. სექტემბერი 2023

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

სალომე დუნდუა

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

მალხაზ მაცაბერიძე

ალექსანდრე კუხიანიძე

ზვიად აბაშიძე

თამარ ქარაია

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

თამარ დოლბაია

გიორგი გოგსაძე

რევაზ გაჩეჩილაძე

ვაჟა ლორთქიფანიძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

ზურაბ დავითაშვილი

ფიქრია ასანიშვილი

კონსტანტინე შუბითიძე

დავით მაცაბერიძე

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

იაგო კაჭკაჭიშვილი

ამირან ბერძენიშვილი

ნინო დურგლიშვილი

ნათელა ფარცხალაძე

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

მარი წერეთელი

მანანა შამილიშვილი

ნანული ტალახაძე

ხათუნა მაისაშვილი

ნინო ჭალაგანიძე

ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულება

რევაზ ჯორბენაძე

ნოდარ ბელქანია

ზურაბ აბაშიძე

თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

იაკობ ორმოცაძე

ლუკა ტაბიძე

ნინა კარანაია

დიტო ბელქანია

ალექსანდრე ფასეიშვილი

მარიამ ჯეჯია

თამარ ბიბიჩაძე

კახა კუჭუხიძე

ლექსანდრე გაბაშვილი